

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 6 8 5

ქ. ბათუმი, 15 თებერვალი 2018 წ

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ბულვარისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 მარტის №02/90 ბრძანებაში და თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და სსიპ „ბათუმის ბულვარს“ შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაში (შეტანილია ცვლილება 2014 წლის 17 მარტის შეთანხმებით) ცვლილების შეტანის თაობაზე

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ბულვარისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 მარტის №02/90 ბრძანების საფუძველზე 2011 წლის 17 მაისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით სსიპ „ბათუმის ბულვარს“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მათ შორის ბრძანების დანართი 1-ის მე-6 პუნქტში მითითებული ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე 336308,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 104,65 კვ.მ. შენობა (საკადასტრო კოდი: 05.24.02.035). მითითებულ ხელშეკრულებაში მხარეთა შორის 2014 წლის 17 მარტს გაფორმებული შეთანხმებით, ასევე შემდგომ 2014-2017 წლებში ამ უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებისა და ხსენებული ბრძანების დანართი 1-ის მე-6 პუნქტში ბოლო მდგომარეობით - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 13 დეკემბრის N2385 ბრძანებით შეტანილი ცვლილების შედეგად უზუფრუქტის საგნად განისაზღვრა 320426,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებულ შენობებთან (N01/1,N02/1) ერთად (საკადასტრო კოდი: 05.24.02.111).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 26 იანვარს შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს N01-01-10/323 (N2642/25) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მათ შორის N05.24.02.111 მიწის ნაკვეთის ნაწილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის განხილვა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობისათვის შემდგომი განკარგვის მიზნით. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის 08 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 320426,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.24.02.111) გაიყო სამ საკადასტრო ერთეულად: 1) 320374,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად მასზე განლაგებულ შენობებთან (N01/1,N02/1) ერთად (ს/კ05.23.04.613); 2) 43,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (ს/კ05.23.04.614) და 9,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (ს/კ05.23.04.615).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გამომდინარე, საქართველოს ორგანიზაციის კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სამოქალაქო კოდექსისა და მხარეთა შორის 2011 წლის 17 მაისს დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების (მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2014 წლის 17 მარტის შეთანხმების) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ბულვარისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 მარტის №02/90 ბრძანებაში და ბრძანების დანართი 1-ის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	ქონების დასახელება, მისამართი, სახეობა	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ.-ში	შენობა-ნაგებობების ფართობი კვ.მ.-ში	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	სხვა მახასიათებელი	ქონების ნორმატიული ღირებულება ლარებში
„6	ქ. ბათუმში ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა ნაგებობები	320374,0	104,65	05.23.04.613	ძველი ბულვარი	129751470,00“

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად შეტანილ იქნას (ცალმხრივად) ცვლილება თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და სსიპ „ბათუმის ბულვარს“ შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაში (ხელშეკრულების „1.1.“ პუნქტში) და ამ ხელშეკრულებით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემულ ქონებად განისაზღვროს ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 320374,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებულ შენობებთან (N01/1, N02/1) ერთად (საკადასტრო კოდი: 05.23.04.613).

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გააუქმოს (ძალადაკარგულად გამოაცხადოს) ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე 43,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: 05.23.04.614) და 9,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.23.04.615) სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს უზუფრუქტის უფლების შესახებ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები.

4. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურს (ე. ლომაძე).

5. წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ნივთებზე სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს უზუფრუქტის უფლების შესახებ რეგისტრირებული მონაცემების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით შესაბამის განცხადებაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის გან-

ყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი: 61001010495).

6. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს სსიპ „ბათუმის ბულვარს“.

7. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

8. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი